


საქართველო ევროკულ სივრცეშია!

ეს ჩვენი ქვეყნის დიდი პოლიტიკური გამარჯვებას არის და ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქართველ ხალხს!

საქართველოს რეესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდუჭი სიფყვას, ცყუილებით და ჩბბბბით ბუბბბის გაცნა ცყულა უჯბბბბბბბბ უსბბბბბბბბ.

პარასკევი, 3 თებერვალი. 2017 წ. №26 (8163), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიზირებისათვის მხარი დაუჭირა



საპარლამენტო უვიზო მიმოსვლის მხარდასაჭერად ხმა 553 ევროპარლამენტის დეპუტატმა მისცა, ხოლო 66 წინააღმდეგი იყო.

ხმის მიცემამდე მომხსენებლებმა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ საქართველომ განვლილი გზით დაიმსახურა უვიზო მიმოსვლა.

* * *

ხმის მიცემის პროცედურის დანერგვას წინ უძღოდა დებატები, სადაც ევროპარლამენტარებმა გამოთქვეს საკუთარი პოზიცია საქართველოსთვის ვიზალიზირებისათვის მინიჭებაზე, ასევე იმ რეფორმებზე, რომელიც ქვეყანამ უვიზო მიმოსვლის მისაღებად გაატარა. კენჭისყრას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეც ესწრებოდა. პლენარულ სესიაზე გამართული კენჭისყრის დროს საკანონმდებლო ინიციატივას 553 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგ 66 კანონმდებელმა მისცა ხმა. 28-მ კი თავი შეიკავა.

საქართველოსთვის ვიზალიზირებისათვის მინიჭების წინააღმდეგ გამოვიდნენ ევროპარლამენტში ჰოლანდიისა და ბრიტანეთის წარმომადგენლები. მათ ერთ-ერთ მიზეზად ორგანიზებული დანაშაულის საფრთხე დაასახელეს.

საქართველოს ვიზალიზირებისათვის

ცია შეჩერების ახალ მექანიზმთან ერთად ამოქმედდება. შეჩერების მექანიზმის შეთანხმებულ რეგულაციას ევროპარლამენტი სავარაუდოდ 13-16 თებერვლის სესიაზე დაამტკიცებს, ევროკავშირის საბჭო კი 27-28 თებერვალს, რის შემდეგაც ის საკანონმდებლო უფრანალში გამოქვეყნდება. როგორც შეჩერების მექანიზმის საკითხზე მომხსენებელმა აგუსტინ დიას დე მერა გარსია კონსუერგამ პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მისი ვარაუდით, შეჩერების მექანიზმის და ვიზალიზირებისათვის მარტის ბოლომდე უნდა ამოქმედდეს.

მას შემდეგ, რაც უვიზო რეჟიმი ძალაში შევა, საქართველოს მოქალაქეები თავისუფლად იმოგზაურებენ შენგენის ზონის წევრ ქვეყნებში და შენგენის ოთხ კანდიდატ ქვეყანაში - რუმინეთში, ბულგარეთში, ხორვატიასა და კვიპროსში, ასევე უვიზოდ მიმოსვლა შესაძლებელი იქნება ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან. საქართველოს მოქალაქეებს ვიზა დასჭირდებათ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ჩასასვლელად.

უვიზო რეჟიმით სარგებლობას ბიომეტრიული პასპორტების მქონე მოქალაქეები 180-დღიან პერიოდში 90 დღის განმავლობაში შეძლებენ.

გიორგი კვიციანიანი: დღეს ნამდვილად ისტორიული დღეა!

გიორგი კვიციანიანი საქართველოს მოსახლეობას 2 თებერვლის დღეს ულოცავს.

„დღეს ნამდვილად ისტორიული დღეა - ევროპარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ქვეყნებში უვიზოდ გადაადგილების უფლებას. დღევანდელი გადაწყვეტილება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი დადასტურება საქართველოსადმი ევროკავშირის ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერისა.

დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება იქნება საქართველოს სასარგებლოდ და ეს იქნება კიდევ ერთი დადასტურება საქართველოს მიმართ იმ პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერისა, რომლებიც არიან ევროპარლამენტში.

მინდა, მაგლობა გადავუხადო ყველა ევროპარლამენტარს, რომლებიც დღევანდელ კენჭისყრაში მიიღებენ მონაწილეობას, ვინაიდან დღევანდელ დღეს საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ასევე, მინდა, უდიდესი მაგლობა ვუთხრა ყველა საჯარო მოხელეს, ვინც მონაწილეობდა ამ დიდი წარმატების შენებაში. მაგლობას ვუსდი საქართველოს პარლამენტს და ყველას, ვინც ძალიან შრომატევად პროცესში მიიღო მონაწილეობა.

დღეს, მართლაც, დიდი წარმატების დღეა საქართველოსთვის! დღევანდელი



გადაწყვეტილება იქნება დასტური იმისა, რომ ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების სტრატეგიას მოაქვს კონკრეტული შედეგები საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოქალაქეებიც დიდი პასუხისმგებლობით მიიღებენ ამ უდიდეს შედეგსა და ნაყოფს საქართველოს ინტეგრაციისა ევროკავშირში და ზედმიწევნით დაიცავენ იმ ქვეყნების კანონმდებლობას, სადაც გადაწყვეტენ გამგზავრებას.

ეს ასევე ძალიან დიდი შესაძლებლობაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის და მინდა, მათაც მივულოცო ეს უდიდესი წარმატება!..

გიორგი მარგველაშვილი: ულოცავ ვიზალიზირებისათვის მინიჭებას საქართველოს მოქალაქეებს, კუხავ და ოს თანამოქალაქეებს, რომლებსაც ეს უფლებები შეეხებათ

საპარლამენტო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სასახლეში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

გიორგი მარგველაშვილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად ევროპარლამენტის სესიის ტრანსლირებას ადევნებდა თვალს, რომელზეც ევროპარლამენტმა საქართველოსათვის ვიზალიზირებისათვის მინიჭებას უყარა კენჭი და საკითხი დადებითად გადაწყვიტა.



დღეიდან ევროკავშირის უბრალო ადამიანების გულაში...



უსარისსო წამლები და უკანონო რეალიზაცია

მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვის შემთხვევებმა იმატა და ფსიქოტროპული წამლების უკანონო რეალიზაციაც ვერ აღმოფხვრა. პრობლემა მედიკამენტების ხარისხიც, სპეციალისტები კარგა ხანია, მიუთითებდნენ, რომ ამ მხრივ კონტროლი გასაძლიერებულია და მთავრობამაც გადაწყვიტა, მედიკამენტების ხარისხის კონტროლი დაიწყო.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის პროგრამა უკვე დამტკიცებულია. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი გამოიყოფა.

ხარისხის კონტროლის პროცესში მკონტროლებელი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორებისგან შეისყიდის სამკურნალო საშუალების ნიმუშს და დაადგენს შეფუთვამარკირების, ვარგისიანობის, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების, დისტრიბუციის უფლებისა და სხვა, კანონით გაწვდის მდგომარეობას. ფალსიფიკაციის მაღალი რისკის არსებობისას, სააგენტო უზრუნველყოფს სადისტრიბუციო რგოლში შესყიდული ნიმუშის შემდგომ ლაბორატორიულ კვლევას.

სამკურნალო საშუალებებს კონტროლს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო გაუწევს. ბიუჯეტიდან გამოყოფილი 100 ათასი ლარიდან 10 ათასი მედიკამენტების ნიმუშების შესყიდვისთვის დაიხარჯება, 10 ათასი – მიკლინების ხარჯებისთვის, ხოლო 80 ათასი – ლაბორატორიული კვლევებისთვის.

პროგრამის მიზანია ფარმაცევტული ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუფარგისებული, ვადაგასული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე სამკურნალო საშუალებისაგან.

ბოლო წლებში საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მუდმივად პრობლემებია. უფრო სწორად, პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ არ ხორციელდებოდა მონიტორინგი და შემოწმება. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში რეცეპტის სისტემა დაინერგა, თანდათან გამოვლინდა მრავალი დარღვევა. პირველ ხანებში აფთიაქები თავს არიდებდნენ



დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, საქართველოში მდებარე 21 სააფთიაქო დაწესებულებიდან მოქალაქეებზე, მათ შორის, არასრულწლოვნებზე, სისტემატურად გაიცემოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები რეცეპტის გარეშე.

ურეცეპტოდ წამლების გაყიდვას, მაგრამ თანდათან გათამამდნენ და ახლა თითქმის ყოველი მეორე ფარმაცევტული დაწესებულება მედიკამენტებს ნებისმიერ მსურველზე უპრობლემოდ გასცემს. ჯანდაცვის სამინისტრო ამ მხრივ კონტროლის გაძლიერებას აპირებს, მანამდე კი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აქტიურობს. მათი ინფორმაციით, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, საქართველოში მდებარე 21 სააფთიაქო დაწესებულებიდან მოქალაქეებზე, მათ შორის არასრულწლოვნებზე, სისტემატურად გაიცემოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები რეცეპტის გარეშე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დანაშაულებრივი საქმიანობის განმახორციელებელი პირები ხელს უწყობდნენ ე. წ. სააფთიაქო ნარკომანიას. ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ფსიქოტროპული და სპეციალურ

კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების ქვეყანაში ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

საქმიანობის მიმდინარეობის განმარტების კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილი, დანაშაული სსსჯინის სახით, ითვალისწინებს თავისი სუფიქსის აღკვეთას, ვადით, 1 დან 3 წლამდე.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან აკრძალულია საძილე და სედატიური პრეპარატების (გარდა მცენარეულისა), ანტიდეპრესანტების, სისტემური გამოყენებისთვის კორტიკოსტეროიდების, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებისა და იმუნომოდულატორების, ანტიმიკრობული (სისტემური გამოყენებისთვის), პარკინსონის დაავადების საწინააღმდეგო, არითმიისა და ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო, დიაბეტისა და სხვა დაავადებების სამკურნალო წამლების ურეცეპტოდ გაყიდვა.

ბეპა დანელია

სანთელი

დიდი ბაღის მხენარეთა მესაიდუმელი ლიანა გვენცაძის გამოსათხოვარი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მისი ღვაწლმოსილი თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომისა და მუშაობის შედეგია. ეს არის ძალიან ბევრი ერთგული, პროფესიონალი ადამიანების ერთობა, რომლებიც ენერჯისა და შესაძლებლობებს არ იშურებენ, რათა ბაღმა მისი ღირსეული წარსულის შენარჩუნებით, შექმნას უკეთესი მომავალი. ამ რთულ საპასუხისმგებლო გზას გავდივართ იმ პროფესიონალებთან ერთად, რომელთათვისაც ბაღის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე სამუშაო ადგილი.



დღეს ბოტანიკური ბაღის გუნდს სწორედ ასეთი ღვაწლმოსილი წევრი, ნამდვილი მეგობარი, ქალბატონი **ლიანა გვენცაძე** გამოაკლდა.

ყველასთვის მოულოდნელი იყო ეს ტრაგედია. მოულოდნელი იმიტომ, რომ წინა დღით, როგორც ყოველთვის ვხედავდით თავის საკოლექციო ნაკვეთში მოფუსფუსეს. ვხედავდით, თუ როგორ სასაგადა გეგმებს გაზაფხულის დადგომისთვის და როგორი რუდუნებით ამზადებდა მცენარეებს გამოსაზამთრებლად, რათა კიდევ უფრო დაემშვენებინა ჩვენი ბაღი.

საკმაოდ დიდი და ნაყოფიერი გზა განვლო ქალბატონმა ლიანამ. საქმიანობა 1958 წელს, მუშის პოზიციიდან დაიწყო და მეცხვარილეობისა და ლანდშაფტური დიზაინის განყოფილების, მეცხვარილეობის სექტორის კურატორად დაასრულა.

უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცხვარილეობის სექტორის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, მეცხვარილეობისა და ლანდშაფტური დიზაინის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, – ამ მშრალი ჩამონათვალის უკან კი უძილო ღამეები, ბევრი ტკივილი და გამარჯვებებით გამოწვეული სიხარული იმალება. 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, თითქმის განადგურებული ბაღის აღდგენა, მუხლჩაუხრელი შრომა, შრომა და თავისი საქმის, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დიდი სიყვარული დგას.

ქალბატონი ლიანა მოულოდნელი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახისთვის, თანამშრომლებისთვის, ყოფილი სტუდენტებისთვის და, ცხადია, მეგობრებისთვის, იმ ხალხისთვის, ვისთან ერთადაც საკუთარი ხელით ქმნიდა ჩვენი ბაღის დიდი ისტორიის მცირე მონაკვეთს.

დღეს ქალბატონი ლიანა ისტორიის კუთვნილებაა.

სამართლიანად ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის

ოთარ ბრეგვაძე, მარინა ბრეგვაძე, მანანა ხვედელიანი ღრმამწუნარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა გურამ წულუკიძის მეუღლე

ლიუდვილა წულუკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 3 ი, 17 სთ. მის: ი. ნიკოლაძის 6, დაკრძალვა 4 ი, საბურთალოს სასაფლაოზე, გამოსვენება გაზღველიანის ეკლესიიდან, 14 სთ.

როსა დაავადება უკან იხეპს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილვან, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთიზას; 6. ფიზიკური ტარების, მუხლის ტიპივილს.

ვისაც გსურთ, სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილი, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული. ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

დიდთოვლობას მსხვერპლი მოყვა

დიდთოვლობის გამო, ხელვაჩაურში, სოფელ განთიადში გუშინ, დილის საათებში სახლი დაინგრა, სადაც 5 ადამიანი იმყოფებოდა. მომხდარის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ერთი ადამიანი ნანგრევებში მოყვა. დაშავებულთა შორისაა ფესმძიმე ქალბატონიც, რომელიც ბათუმის დედათა და ბავშვთა საავადმყოფოშია გადაყვანილი. შემთხვევის ადგილზე ყველა შესაბამისი სამსახური იყო მობილიზებული.



სახლი დაზიანდა. გამგეობაში აცხადებენ, რომ ოჯახს აბაშის გამგეობა დაეხმარება. არსებულ ვითარებას, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიციანი პირადად გაეცნო. მასთან ერთად შემთხვევის ადგილზე სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი მუდმივმოქმედი სა-

მუშაო ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ. „ამ სახლში ცხოვრება შეუძლებელია, ჩვენ ქალბატონ ნაზიბოლოას სამშენებლო მასალებით დავებმარებით, რათა მას ჰქონდეს თბილი და უსაფრთხო სახლი. თოვლის საფარი დიდი არ ყოფილა, თუმცა როგორც გვითხრეს, სახლი ავარიული იყო და სიმძიმეს ვერ გაუძლო“, – განაცხადა აბაშის გამგებელმა მამუკა კვიციანი.

დიდთოვლობის გამო, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაესაკოვოში მცხოვრებ ნაზიბოლოა ოთხოზორიას საცხოვრებელი

გავლი

„თემის ჭაღებში დავექმებ“

რად პირველი ნიგნი და რად პირველი შვილი

ქეთევან პაპიძის პოეზია. თარგმანები. ჩანახატები.

ამ პატარა წერილის რუბრიკა დიდ საბა პაპას დავესვს. ბავლს ის ასე განმარტავს: დასაგეშავი ქორ-შეგარდნის მიერ პირველად დაჭერილი ფრინველი. დებიუტის, ჩემი აზრით, ნამდვილად სჯობს ბავლი. ქეთევან პაპიძემაც უთუოდ დაიჭირა მხატვრული სიტყვის თავისი ლურჯი ფრინველი. ერთ პატარა წიგნად გააერთიანა თავისი პოეტური ნაქარგები, თარგმანები, ჩანახატები და „ბაკმის“ დახმარებით შესთავაზა პოეტურად განწყობილ მკითხველს, რომელსაც წიგნის გადაყვარების ჩვენს ცივ დროში მაინც არ განელებია პოეტური სიტყვის ტრფიალი.



ქეთევან პაპიძე თემის ჭაღებში დავექმებ

წიგნის რედაქტორია გურამ გოგიაშვილი. რედაქტორის პატარა წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ამ კოკროჩინა კრებული ავტორი ქეთევან პაპიძე“

მისი ლიტერატურული სიტყვა ადამიანის ნაღველშეპარულ თუ იმედით შერხულ ნაზ სიმებზე ერთგვარი მალამოა, სადმე ტყეში თუ მინდორში დაკრული სამკურნალო ბალახებისგან შეზავებული...

„თემის ჭაღებში დავექმებ“ მისი პირველი წიგნია. ამიტომ მკითხველმა ნაკლები პრეტენზია უნდა წაუყენოს ავტორს. უწინარესად ამა თუ იმ ვითარებაში თავისი უთუოდ რომანტიკული სულის ნაირ-ნაირი მოძრაობების უშუალო, ნრფელი გადმოცემებით რომ გვხვდება და თავისებურად გვამდიდრებს კიდევც. ანუ სხვა, უცხო ადამიანი, ჩვენთვის სრულიად უცნობი სულით, მკითხველის სულიერი თანაარსება ხდება, რომელიც ბევრ ისეთ რასმეხდის თვალსაჩინოს, რაც არ შეგვიჩნევია და იქნებ მთელი სიცოცხლე ვერც შეგვეჩინია.

ენერება და არ დანეროს?! მით უმეტეს, თუ იმისი ნრფელი სიტყვა ჩვენდა თვალისა და გულის გასახარად არა სათბურში გამოყვანილი, არამედ მინდორში თავისით ამოსული ველური სილამაზის სრულიად უცხო ყვავილია“.

ეს პატარა კრებული, დასურათებული მარიამ მისანაშვილის მიერ, არც ერთ სხვა პოეტურ კრებულს არ ჰგავს, როგორც უკვე იტყვა, აქ მხატვრულ სიტყვას გამიჯნურებული ქალის სულის უხილავი სიმების ჟღერა ისმის, რაც მხოლოდ მხატვრულად გამახვილებულ ყურს თუ ესმის.

„თემის ჭაღებში დავექმებ“ მკითხველს ბიბლუსის მალაზიებში შეუძლია შექმნა. ბურამ ნიკლაური

ინტერნეტიდან

კლიონა სერაფოვა გელს შეეგუა



დიდ „საფეხბურთო კარბადინში“ წერია: „ვინც ჯიჯი ბუფონი დაივიწყოს, არ გაიხაროს და იმას დეენოს ფეხის თითები“. როგორც ჩანს, ეს წყევლაკრულვა კარგად უწყის ჯიჯის ყოფილმა ცოლმა და შეილებს დედამ, ცნობილმა მოდელმა ალიონა სერედოვამ, რომელიც ყოფილ ქმარზე აუტს არასოდეს ამბობს.

ამჟამად ალიონაც და ჯანლუიჯიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და წარმოშობით ჩეხმა მოდელმა უკვე იშოვა შეძლებული და მრავლისმოქმედი ქმარი, მაგრამ მას იტალიის ბულვარული მედია, ცხადია, კვლავ ჯიჯის ნაცოლარად მოიხსენიებს და ამას სერედოვას ქალი ვერაფერს უპირისპირებს.

„ჯანლუიჯი ბუფონი იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა და მე ეს ძალიან კარგად ვიცი. შეიძლება მართლაც არ მომწონს, როდესაც მე კვლავ ჯიჯის ნაცოლარად მიხმობენ, მაგრამ ეს რეალობაა და იტალიის ყველა დროის საუკეთესო მეკარის ყოფილი ცოლის სახელს ალბათ ვერასოდეს გავექცევით“ - გულდარდინად ამბობს ალიონა სერედოვა.

როსტომ რაჭველიშვილი

ნორვეგიის კლასიკა ერთსქესიანთა ჯვრისწერა დააქონდა

ნორვეგიაში ლგბტ პირებს ჯვრისწერის უფლება მიეცათ. ქვეყნის ლუთერანულ-ევანგელური ეკლესიის საბჭოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერთსქესიანთა ჯვრისწერის დაკანონებას.



სამი წლის წინათ სპეციალური ლიტურგიის არარსებობის გამო, ეკლესიამ მათ უარი განუცხადა. თუმცა დღეს მათი ჯვრისწერის ცერემონიალის ჩასატარებლად ყველაფერი მზადაა. ლგბტ პირებს მხოლოდ მოძღვრის კურთხევა და სჭირდებათ.

როგორც მასმედია იტყობინება, ეკლესიასთან უკვე რიგები დგას. მსგავსი ცერემონიალის ჩატარება უკვე შესაძლებელია. შვეიციაში, დანიაში და საფრანგეთში.

მიხეილ გორბაჩოვის ლიმიტი 14-მილიონ რუბლად იყიდა



ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა ნომენკლატურული ელიტის მანქანები ავტო კოლექციონერებში დიდ ინტერესს იწვევს. ალბათ ამიტომაც გორბაჩოვის ყოფილ ლიმიტს 2 ახალი „მინიბასის“ ფასი აქვს.


რომლითაც გორბაჩოვი და მისი მეუღლე გადაადგილდებოდნენ. მისი ფასი 14 მილიონი რუბლია. მანქანა ორიგინალია, 1988 წლის გამოშვებაა და 3000 კილომეტრი აქვს გავლილი (ფაქტობრივად უხმარია, ახალია).

ყაზახისტანის სპეციალური ინტერნეტ საიტზე დევს განცხადება სამთავრობო ლიმიტის გაყიდვის თობაზე, რომელიც 2002 წელს ყაზახეთის პრეზიდენტისთვის გამოუშვეს.

ბოლოს მსგავსი მოდელი 2002 წელს ყაზახეთის პრეზიდენტისთვის გამოუშვეს.

APPLE-მა გაყიდვებით სამსუნგს გაუსწრო

ცნობილი კორეული ბრენდის სამსუნგის სმარტფონების წლების განმავლობაში გაყიდვების ლიდერი იყო, თუმცა უკანასკნელი თვეების მონაცემებით APPLE-ის ტელეფონებმა კონკურენტის გაუსწრო.



ბოლო კვარტლის მონაცემებით კალიფორნიულმა ფირმამ 78,3 მილიონი სმარტფონი გაყიდა, კორეულმა კი 77,5 მილიონი. მთავარი მიზეზი პირველობის დაკარგვისა „სამსუნგ გალაქსი 7“-ის ბაზრიდან ამოღება იყო.

თუმცადა წლიური გაყიდვებით ჯერჯერობით ისევ სამსუნგი ლიდერობს.

მულანგველი ჯონი დეპი



პოლივუდის ვარსკვლავი „კარბის ზღვის მთავარი მეკობრე“, ჯონი დეპი, როგორც აღმოჩნდა, ზედმეტად ხელგაშლილია. იგი დაახლოებით 2 მილიონ დოლარს ხარჯავს საკუთარი ყოველთვიური ფუფუნებისთვის, რამაც ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები შეუქმნა და მსახიობმა ყოფილ მენეჯერებს უჩივლა. დეპი თვლის, რომ მილიონები სწორედ ყოფილი თანამშრომლების არასწორი მენეჯმენტის გამო დაკარგა.

დღეს კი თავად მენეჯერებმა შეიტანეს სარჩელი მის წინააღმდეგ. ისინი აცხადებენ, რომ ჯონი საშინელი მულანგველია, არადა მისი ფინანსები ამის საშუალებას არ იძლევა.

მაგალითისთვის, იგი 30 000 4 თვეში მხოლოდ ლენოვოში ხარჯავს, 75 მილიონი გადაიხადა 14 სახლის შექმნაში, 18-მილიონი იახტის, 200 000 4 კერძო ვერტმფრენის დაქირავებაში და მისი ფუფუნების ხარჯებს საზღვარი არა აქვს, - აცხადებენ ექს-მენეჯერები.

მოამზადა რუსუდან ძოგულიძე

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულიძე 293-13-34 599 36-00-35

ბასუსისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772 233 385 001

ავტორთა სახურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!

Table with subscription rates: უსხოვრი პალუტის კარსი: აშუ დოლარი - 2.7090; პირი - 2.9227; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.4182; 100 რუბლი - 4.4910; თურქული ლირა - 0.7174; აზერბაიჯანული მანათი - 1.3967; 1000 სომხური დრამი - 5.5798.